კონკურსი სამართლის პროგრამის სტუდენტებისათვის

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის რენის უნივერსიტეტში **(University of Rennes)** მობილობისთვის.

მობილობა უნდა განხორციელდეს 2026/27 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში.

- მობილობის ხანგრძლივობა - 3.5 თვე
- სტიპენდიის რაოდენობა:
  - მგზავრობის ხარჯი: 580 ევრო
  - თვიური სტიპენდია: 900 ევრო

დაინტერესებულმა კანდიდატებმა სააპლიკაციო ფორმა უნდა შეავსონ **2026 წლის 28 მაისის 18:00 საათამდე.**

სააპლიკაციო ფორმა

სააპლიკაციო ფორმაში სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ვალიდური პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი / Passport or ID Card
რეზიუმე / CV (სასურველია EUROPASS ფორმატში)
შესაბამისი უცხო ენის მინ. B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა / Language Certificate. ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების სრული ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე. გაითვალისწინეთ, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში უნდა ჩანდეს მისი მინ. B2 კომპეტენცია ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით
მიმდინარე საფეხურის ნიშნების ფურცელი გაცემული უნივერსიტეტის მიერ / Transcript of Records

საკონკურსო პერიოდში გაცემული აქტიური სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა / Proof of Enrollment

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის შემოტანის დროს სტუდენტისათვის ცნობილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში სწავლას ვერ ასრულებს (უწევს დამატებითი სემესტრის გავლა), აღნიშნული უნდა აისახოს სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობაში.

შევსებული და დეკანის მიერ ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება / Learning Agreement

- სასწავლო ხელშეკრულების ფორმა: ჩამოტვირთვა
  - კრედიტების მინიმალური მოთხოვნა - 12 ECTS
- სასწავლო ხელშეკრულების მომზადების ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე
- კურიკულუმის ექსპერტების სია

მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემოდგომის სემესტრში შემოთავაზებული კურსების კატალოგი: ჩამოტვირთვა

ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური, სოციალური ან/და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (იხილეთ მუხლი 3, პუნქტი 4) / Proof of disability, social or economic vulnerability (if relevant)

ბაკალავრიატის საფეხურის დიპლომი / BA Diploma (აღნიშნული მოთხოვნა ეხება სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს)

ბაკალავრიატის საფეხურის დიპლომის დანართი (ნიშნების ფურცელი) / BA Diploma Supplement (transcript of records) (აღნიშნული მოთხოვნა ეხება სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს)

სავალდებულოა, რომ დიპლომის დანართში შეფასებები ასახული იყოს 100-ქულიანი სისტემით

ზოგადი ინფორმაცია ერაზმუს + პროგრამის კონკურსში მონაწილეობის წინაპირობების და პროცედურების შესახებ, იხილეთ ბმულზე: https://iro.iliauni.edu.ge/erasmus-iliaunis-studentebisthvis/

კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით - erasmusplus@iliauni.edu.ge